ო ქ მ ი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 30 ივლისი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 24 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის,
საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბის უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას ქუჩის სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულში არსებულ N1 ქუჩისთვის რევაზ ჩხეიძის სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას ქუჩის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური უფროსი);

8. ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ წინა წელსაც დამატებით მიიმართა თანხა 70,0 ათასი ლარის ოდენობით ქალთა ფეხბურთის ხელშეწყობისთვის, მაგრამ გუნდმა ვერ გაამართლა და გუნდი ჯგუფიდან გავარდა, მიმდინარე წელსაც ითხოვენ დამატებით თანხების დამატებას ქალთა ფეხბურთის ხელშეწყობისთვის, რომელიც არასწორად მიაჩნდა და დაინტერესდა თუ ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი თანხის დამატების შემთხვევაში გოგონათა საფეხბურთო გუნდის წარმატება-წარუმატებლობაზე?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს ვერ გააკეთებდა, თანხის გაზრდა კი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობის მხრიდან შესაბამისი წერილის საფუძველზე ხდებოდა.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ზოგადად მამაკაცთა საფეხბურთო გუნდის მდგომარეობა სავალალო მდგომარეობაში იყო და დროულად იყო ყურადსაღები და

მისახედი, რომ კითხოთ მერიას ადანაშაულებენ არადა მერია და საკრებულო რამდენი წელია მაქსიმუმს აკეთებენ, რათა ფეხბურთი მოწოდების სიმაღლეზე იყოს. რაც შეეხებოდა ქალთა ფეხბურთს, ამ ეტაპისთვის მართებულად მიაჩნდა თანხის დამატება გუნდისთვის.

კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა- 34079,8 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 41333,1 ათასი ლარის ოდენობით. დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები: 2025 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 748,3 ათასი ლარის ასახვა ხორციელდება ადგილობრივ ბიუჯეტში, 837,6 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 837,6 ათასი ლარი შემოსავალი მუხლიდან „სხვა შემოსავლები“ (მათ შორის: 75,0 ათასი ლარი - ,,პროცენტი“, 62,6 ათასი ლარი - ,,მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის“, 700,0 ათასი ლარი - ,,ჯარიმები, სანქციები და საურავები“). ნაშთის 748,3 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) და შემოსავლების ზრდით მიღებული ასიგნებები 837,6 ათასი ლარი, სულ 1585,9 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 1435,9 ათასი ლარი, აქედან: 1235,9 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე. 70,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,გარე განათება“ ასიგნებაზე. 130,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ ასიგნებაზე. პრიორიტეტის ,,დასუფთავება და გარემოს დაცვა“ ასიგნებაზე 150,0 ათასი ლარი, აქედან: 150,0 ათასი ლარი პროგრამის ,,დასუფთავების ღონისძიებები“ ასიგნებაზე, მათ შორის: 150,0 ათასი ლარი - შპს ,,ხობი დასუფთავება და განათება"-ს სუბსიდია. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N18 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 2 აპრილს ცვლილებები შევიდა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონის სათაურში და ტექსტში ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ იცვლება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობით“. „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1[1] პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია შექმნას ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია

კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N19 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით ხობის

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის ქვემუხლებში, კერძოდ: 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების, სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებელ, ცემენტის და ბლოკის შეძენის და სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) მუხლებში გამოყოფილი თანხები მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა ზემოთ აღნიშნულ მუხლების გაზრდა, გაზრდა შესაძლებელი გახდა ამავე პროგრამის ქვეპროგრამის მუხლების ეკონომიებიდან (24708 ლარი)კერძოდ: შემცირდა: 6-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (ბინის ქირის, კომუნალური ან სატრანსპორტო ხარჯების, საჭიროების განსაზღვრით) თანადაფინანსების მუხლი 4 000 ლარით. ახალშობილთა ოჯახებისთვის დახმარების მუხლი 10 000 ლარით. მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი) ერთჯერადი დახმარების მუხლი 4750 ლარით. სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება ყოველთვიურად.(65000 და ნაკლები ქულა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარის ოჯახი.) დახმარების მუხლი 5058 ლარით. სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 ქულას და რომელთაც ყავთ პირველი კლასის ბავშვები, სასკოლო ნივთების შესაძენის მუხლი 900 ლარით. **გაიზარდა:** 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო რეაბილიტაცია აბილიტაციის თანადაფინანსება, ერთჯერადად, გარდა შშმ პირთა რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამაში (პროგრამის კოდი ICD-10)დახმარების მუხლი 10 000 ლარით. სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებელ, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლი 13808 ლარით. სტიქიური მოვლენების

და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი)მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასაკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) დახმარების მუხლი 900 ლარით, ასევე „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის მე-13 მუხლის ოცდამეათე ქვეპუნქტიდან „სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, ექსპერტიზის დასკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) არაუმეტეს 9 თვისა, მომართვიანობიდან და მათი ცხოვრების პირობების უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე ამოღებულ იქნა წინადადება „არაუმეტეს 9 თვისა“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ლ. ლაშხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბის უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური

უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ღვაბის უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის სემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტის თორსა - დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბის ქუჩების სახელდების შესახებ", რაც მოიცავს სოფელ დღვაბაში არსებული დაუმისამართებელი 6 ქუჩისა და 1 შესახვევის არაბული ციფრებით სახელდებას. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ლ. ლაშხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N9 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას ქუჩის სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას ქუჩის სახელის მინიჭების თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება პირველი მაისის მკვიდრის სპარტაკ ბუკიას სახელის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის მიწიჭების თაობაზე. მერიის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ სპარტაკ ბუკია პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებითა და კეთილშობილებით. 1989 წლიდან აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 1996 წლიდან მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში ექსპერტ-კონსულტანტის პოზიციაზე, ხოლო 1997 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში. 2000-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში სხვადასხვა პოზიციებზე. ს. ბუკიას ქველმოქმედების შესახებ ცნობილია არამარტო საახლობლოსა და სამეგობროსთვის, არამედ ძალიან ბევრი უცნობი ადამიანებიც საუბრობენ მის მიერ უანგაროდ გაღებული სიკეთის თაობაზე. სპარტაკ ბუკიას სახელის უკვდავყოფის მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. გამომდინარე იქედან, რომ ს. ბუკიას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, კომისიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას სახელის მიწიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“, რის შემდეგაც საკითხი გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებული თანხმობის საფუძველზე საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას ქუჩის

სახელის მინიჭების თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ლ. ლაშხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N10 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულში არსებულ N1 ქუჩისთვის რევაზ ჩხეიძის სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულში არსებულ N1 ქუჩისთვის რევაზ ჩხეიძის სახელის მინიჭების თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდის, კრივში ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონის რევაზი ჩხეიძის სახელის უკვდავყოფის მიზნით, მისი სახელის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული N1 ქუჩისთვის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის

გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. გამომდინარე იქედან, რომ რ. ჩხეიძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, კომისიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული N1 ქუჩისთვის რევაზი ჩხეიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე". რის შემდეგაც საკითხი გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებული თანხმობის საფუძველზე საკრებულოს სხდომაზე განსახილველად კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული N1 ქუჩისთვის რევაზი ჩხეიძის სახელის მინიჭების თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ლ. ლაშხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N11 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას ქუჩის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური

უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას ქუჩის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის სემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება ტარიელ გელანტიას სახელის უკვდავყოფის მიზნით, მისი სახელის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. გამომდინარე იქედან, რომ ტ. გელანტიას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ლ. ლაშხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N12 ოქმს თან ერთვის)

8. ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის სემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ- ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის #21 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 23124,1 ათასი ლარის და ასევე საგასავლო ნაწილში 23124,1 ათასი ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ- ივნისის თვის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 33240,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 39747,2 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 10394,5 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. 2025 წლის იანვარ-ივნისის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 55,4 %-ით (წლიური დაზუსტებული გეგმა 33240,7 ათასი ლარი - ექვსი თვის შესრულება 18410,2 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლები- 53,1 %-ი გეგმიური დაზუსტებული წლიური 21775,4 ათასი ლარიდან 6 თვის განმავლობაში შემოსულია 11557,2 ათასი ლარი: გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) გეგმიური 4438,0 ათასი ლარიდან

შემოსულია 4515,5 ათასი ლარი-77,5 ათასი ლარით მეტი. გადასახადი სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე წლიური დაზუსტებული გეგმიური 360,0 ათასი ლარიდან 6 თვეში შემოსულია 39,0 ათასი ლარი. ფიზიკური პირებიდან 38,4 ათასი ლარი, იურიდიული პირებიდან 0,6 ათასი ლარი. გადასახადი არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმიური 2000,0 ათასი ლარიდან 6 თვეში შემოსულია 32,1 ათასი ლარი, ფიზიკური პირებიდან 9,8 ათასი ლარი, იურიდიული პირებიდან 22,3 ათასი ლარი , შეუსრულებლობა განპირობებულია იმით რომ, მიწის გადასახადის სავადო 15 ნოემბერია. სხვა გადასახადი ქონებაზე გეგმიური 14975,6 ათასი ლარიდან 6 თვეში შემოსულია 6970,5 ათასი ლარი - 8004,9 ათასი ლარით ნაკლები წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით. გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები იანვარ-ივნისის თვეში გეგმიური 10394,5 ათასი ლარიდან 6 თვეში მიღებულია 4423,1 ათასი ლარი, აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 657,5ათასილარი, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების განსახორციელებლად 3765,6 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 2025 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 1015,8 ათასი ლარიდან 6 თვეში ბიუჯეტში შემოსულია 1634,3 ათასი ლარი - 618,5 ათასი ლარით მეტი. მ/შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის წლიური გეგმიური 240,0 ათასი ლარიდან შემოსულია 180,2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან მოსაკრებელი წლიური 70,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 97,5 ათასი ლარი 27,5 ათასი ლარით მეტი. სანებართვო მოსაკრებელი წლიური გეგმით 9,0 ათასი ლარიდან შემოსულია 13,3 ათასი ლარი 4,3 ათასი ლარით მეტი. შემოსავალი ჯარიმებიდან და სანქციებიდან წლიური დაზუსტებული გეგმიური 300,0 ათასი ლარიდან 6 თვეში შემოსულია 876,5 ათასი ლარი- 576,5 ათასი ლარით მეტი. მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის წლიური გეგმიური 84,0 ათასი ლარის ნაცვლად 6 თვეში შემოსულია 67,7ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან(შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან) დაზუსტებული წლიური გეგმიური 17,6 ათასი ლარიდან 6 თვეში შემოსულია 10,2 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (ჯარიმების გადახდა იურიდიულიდასკვნის საფუძველზე ,,მესამე პირის გადახდა" შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან) 17,8 ათასი ლარი. შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან, დაზუსტებული წლიური გეგმიური 55,0 ათასი ლარიდან 6 თვეში შემოსულია 795,6 ათასი ლარი - ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 1,7 ათასი ლარი ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის გაყიდვიდან 793,9 ათასი ლარი-738,9 ათასი ლარით მეტი წლიურ გეგმასთან შედარებით. 2025 წლის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტით, საგასავლო ნაწილი(ხარჯები) 6 თვეში ათვისებულია 35,6 %

(წლიური გეგმა 39747,2 ათასი ლარი იანვარ-ივნისის თვის ფაქტიური შესრულება 14159,6 ათასი ლარი) რაც მოდის შემდეგ ღონისძიებებში კერძოდ: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი წლიური გეგმით გათვალისწინებული 6843,8 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 2753,9 ათასი ლარი. აქედან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება წლიური 6691,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 2724,9 ათასი ლარი, საერთო დანიშნულების ხარჯები წლიური 152,7 ათასი ლარიდან ათვისება 29,0 ათასი ლარია. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 22315,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 6479,3 ათასი ლარი. აქედან, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯია 4226,5 ათასი ლარი: მ/შორის გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა 4139,0 ათასი ლარი, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია 87,5 ათასი ლარი. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია გეგმიური 10918,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 1957,2 ათასი ლარი, აქედან:გარე განათების ხარჯი 287,4 ათასი ლარი, წყლის მსისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 0,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია 1210,4 ათასი ლარი, სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია334,9 ათასი ლარი. მუნიციპალიტატის წყალმომარაგების სისტემის მართვა და ექსპლოატაცია 123,9 ათასი ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გეგმიური 1440,8 ათასი ლარიდან 80,9 ათასი ლარია გახარჯული, აქედან 41,4 ათასი ლარი საკუთარი შემოსავლებიდანაა დაფინანსებული 39,5 სახელმწიფო სახსრებია 2024 წლის პროგრამის ნაშთიდან 2025 წლის სამუშაოები არ დაწყებულა. სარწყავი არხებისა დანაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია გეგმიური 464,0 ათასი ლარიდან გახარჯულია 21,8 ათასი ლარი. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება გეგმიური 500,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 177,9 ათასი ლარი. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა თანადაფინანსებით 30,0 ათასი ლარიდან 6 თვეში გახარჯულია 15,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვა- წლიური 1213,4 თასი ლარიდან იანვარ-ივნისის თვეში ათვისებულია 520,0 ათასი ლარი. განათლება, საგანმანათლებლო ღონისძიებების წლიური გეგმიური 4494,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 2380,5 ათასი ლარი, მ/შორის: ა(ა)იპ ,,სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების" ხარჯი 1783,3 ათასი ლარია. საჯარო სკოლების დაფინანსება - 597,2 ათასი ლარია. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები წლიური გეგმიური 3670,0 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 1564,9 ათასი ლარი. აქედან, სპორტის განვითარების ხელშეწყობა-766,3 ათასი ლარი: სპორტული ღონისძიებების დაფინანსება 40,3 ათასი ლარი, ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთი"-ის ხელსეწყობის ღონისძიებები 326,2 ათასი ლარი, ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ხელსეწყობის ღონისძიებებზე 399,8 ათასი ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა გეგმიური 58,3 ათასი ლარიდან ათვისება 0 ლარია. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 8,8 ათასი ლარია. კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა გეგმიური 1766,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 789,8 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2025 წლის გეგმიური 1210,,0 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 461,0 ათასი ლარი, აქედან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება- გეგმიური 319,1 ათასი ლარიდან 6 თვეში ათვისებულია 139,4 ათასი ლარი, მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამით გეგმიური 53,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 20,8 ათასი ლარი. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა გეგმიური 531,8 ათასი ლარიდან 6 თვეში გახარჯულია 240,9 ათასი ლარი, აქედან: ავადმყოფთა სოციალური დახმარება 136,4 ათასი ლარი, სარიტუალო მომსახურება 2,3 ათასი ლარი, ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოციალური დახმარების ხარჯი 4,3 ათასი ლარი, მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარება 16,8 ათასი ლარი. უმწეოთა სასადილო და უმწეოთა ბინაზე მომსახურება 60,0 ათასი ლარი. ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარება 14,7 ათასი ლარი. უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება 6,4 ათასი ლარი. უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთა ერთდროული ფულადი დახმარების სახით 6 თვეში გაცემულია 25,3 ათასი ლარი. ხანძრისა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისათვის 12,0 ათასი ლარია გახარჯული ხოლო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 22,6 ათასი ლარია ათვისებული 6 თვეში. ფულადი სახსრების ნაშთი 2025 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 11992,9 ათასი ლარია. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ- ივნისის ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ შეფასდა დადებითად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 0

დადებითი – 21

კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: (ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ლ. ლაშხია)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების შედეგების შესახებ შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2025 წლის 30 ივლისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. დოდო გაბუნია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. აკაკი მალანია
10. გიორგი გვასალია
11. გურიელ ქარდავა
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. ფელიქსი წურწუმია
17. მაკა ჩარტია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა
20. ქეთევან კვირიკაშვილი
21. ჯანსუღი ჯიშკარიანი
22. დიტო ხასია
23. ლევანი ლაშხია
24. სერგო ბერაია